# სასოფლო გაზეთი

**გაზეთის ფასი:**

| გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
|---|---|
| ერთი წლის — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლის — 3 — | — 2 მ. — |
| სამი თვის — 1 მ. | — 1 მ. — |

**მეხუთე წელიწადი**

**გამოდის თვეში ორჯერ**

**ხელის მოწერა მიიღება:**
თფილისში «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის) სტამბაში, ხანის ქუჩა, ბებუთოვის სახლებში.
თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი:
*Въ Тифлисъ, вконтору редакціи* ***СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЕ****: при типографіи* ***Г. Церетели*** *и к°. (Дубелира).*

№ 22 შაბათი · 30 ნოემბერს, 1872 წ.


## განცხადება

### «სასოფლო გაზეთის» გამოცემაზე

### 1873 წელს

მომავალს წელს «სასოფლო გაზეთი» გამოვა იმავე პროგრამით და რედაქცია ეცდება წასულ წლებზე უკეთ აასრულოს თავის მოვალეობა.

**ხელის მოწერა «სასოფლო გაზეთზე» შეიძლება:**

ტფილისში «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში გ. წერეთლის და კამპ. სტამბაში, ბებუთოვის სახლში ხანის ქუჩაზე.

ქუთაისში — გერასიმე კალანდარისშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ნ. ნიკოლაძის სახლებში სილაზე.

თფილისსა და ქუთაისს გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ контору Редакціи «Сельской Газеты,» на Ханской улицѣ. Д. Бебутова.*

## ხელმოსაწერი ფასი:

| | გაუგზავნელათ. | გაგზავნით. |
|---|---|---|
| ერთი წლისა თფილისში და აგრეთვე სხვა ადგილებში | 3 მან. | 4 მან. |
| ნახევარის წლისა | 1 მ. 50 კ. | 2 მ. |

ხელის მომწერლებს უმორჩილესათ ვსთხოვთ, თუ დაიბარებენ, გარკვევით შემოგვითვალონ თვისი სახელი გვარი და ადგილ-სამყოფი.

**შინაარსი:**


სასოფლო გაზეთის განცხადება. — სამეურნეო ნაწილი: — საქართველოს მეურნეობის მდგომარეობა. — მაზუნი ნდვდლები. საქართველოს ამბები. «დროებიდგან: — წიგნი «დროების» რედაქტორთან. — ყვირილიდგან ტფილისამდის. — სოფ. ოფურჩხეთი. — საქმიო ნაწილი: მალარია: — სამართალი. — კერძოობითი განცხადებანი.


## სამეურნეო ნაწილი.

### საქართველოს მეურნეობის მდგომარეობა

(ქრისტეფორე მამაცაშვილის სტატიით)

ამ უკანასკნელს დროს — გაზეთში «კავკაზში» უფ. ქრ. მამაცაშვილმა დასწერა ერთი საფუძვლიანი სტატია, რომელშიაც განიხილავს ახლანდელს უნუგეშო მდგომარეობას საქართველოს მეურნეობისას და იქვე მოჰყავს მიზეზები, თუ რა ღონისძიებით შეიძლება გამობრუნდეს მიწის მომცემობა, როგორც ძველათ ყოფილა. ჩვენ აქ მოკლეთ ვსთარგმნით იმის სტატიას. უფალი მამაცაშვილი საქართველოს მიწის განადგურებას აბრალებს ძველათგანვე მოუსაზრებელათ მუშაობას და სხვა ქვეყნების ისტორიული მაგალითებით ცხადათ ამტკიცებს, რომ ეს ასეა.


ქ. მარქსის ს.ს. ს.რ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

ჯერ რომის ქალაქის სასენებელიც არ იყო დედა-მიწის ზურგზედ, არც რომაელები ყოფილან. ამაზე კიდევ დიდი ხნის წინათ იტალია ძალიან შემუშავებული ქვეყანა იყო. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ერთ ქვეყნის შემდეგ რომაელების სახელ განთქმის დროს აღარ მოსწრებია იმისთანა არის, როგორც იმ წინა დროებში. როცა ძლიერმა რომის ერმა მთელი ქვეყნის სიმდიდრე ლაციუმში დააგროვა, მაშინაც აღარ ჰქონია იმას იმდენი სიმდიდრე, რაც ძველის-ძველათ ყოფილა მთელს იტალიაში. იმდროს მთელი ლაციუმის სიმდიდრე ორიოდე გვარს ჰქონდა ხელში ჩავარდნილი, მაშინ როდესაც ძველის-ძველათ მთელი ერი იყო ამგვარსავე კეთილს მდგომარეობაში. ახლანდელ პონტის ჭაობების მაგიერათ, რომელზედაც მხოლოდ საქონელი თუ სძოვს, თორემ სხვაფრივ მიწა არ არის გამოსადეგი და ჰაერი ხაშმით არის მოწამლული, ოდესმე აქ იყო ძალიან გაშენებული 23 ქალაქი. რომის ისტორიკოსები იხსენებენ აქ ძალიან ბევრს დიდსა და პაწაწა ქალაქებს მომეტებულათ გაშენებულებს, რომელთაც კვალი აღარ არის ამ ქამათ. ამის გამო მიწა ძალიან მომცემი უნდა ყოფილიყო, რომ ამდენი მცხოვრები რიგიანათ გამოეკვება. ასეთი იყო ძველის-ძველი იტალიის მდგომარეობა და ახლა რას ვხედავთ. ვარდნარისა და მშვენიერ მოსავლიან ყანების მაგიერათ ჩვენ ვხედავთ, რომ პესტუმის ტამანის გარშემო უნაყოფო უდაბნოები მდებიარებენ, რომელზედაც ამოდის ნარა ბალახი და ეკლნარა. მეხუთე საუკუნის გასულს პლატეის ბრძოლაში სპარტის ქალაქმა საბერძნეთში გამოაწვია რვა ათასი კაცი სპარსელების საბრძოლათ; ასი წლის შემდეგ კი მიწის გალარიბებით მცხოვრებლების რიცხვი ისე შემცირდაო, რომ ათასი მებრძოლი კაციც ვერ გამოვიდოდაო სპარტის ქალაქიდგან; ას ორმოცდა ათი წლის შემდეგ წარჩინებული მეცნიერი ამბობს ას საბერძნეთის ქალაქში, სპარტის ქალაქს გარდა ოცდა ათი დაბაც აღარ იპოვებოდა ისე განადგურდა ქვეყანაო.

*
* *

ძველი ლიშპანიის ქვეყანა მთელ დედამიწაზე განთქმული იყო თავის სიმდიდრით და მიწის მომცემობით. სტრაბონი და ლიბლუსი ამბობენ, რომ ლიშპანიის ქვეყნის მაზრაში ანდალუზიაში ერთი კოდი ას კოდს აძლევდა ისეთი მოსავლიანი ქვეყანა იყო. მეათე საუკუნეში აბდერრამანის დროს სამახმადიანო ლიშპანიაში ირიცხებოდა ოცდაათი მილიონი მცხოვრებლები. არრაგონიაში, რომელიც სახელმწიფოს მეორე ქალაქი იყო, რომაელების დროს მილიონზე მომეტებული მცხოვრები ითვლებოდა. მეათე საუკუნეში, მხოლოდ ოცდა თუთხმეტი-ათასი ითვლებოდა და ახლა თუთხმეტ-ათასზე მეტი აღარ არის.

*
* *

მიწის მუშაობა შესძულდათო, რომ ამბობენ—ეს კი არ იყო მიზეზი; არამედ ის იყო, რომ მიწებს აღარა მოჰყავდათ რა, იმიტომ რომ უგუნური მუშაობით მიწებს ნაყოფიერება დაეკარგათ. ამის მაგალითს ჩვენ თვალწინ მომხდარს თვითონ ამერიკის ქვეყნები ამტკიცებს. ექვს ჩრდილოეთის ამერიკის შტატში ამ ოცდა თოთხმეტის წლის წინათ ორი მილიონი საწყაო ხორბალი მოსულა და ახლა ერთი მილიონიც ძლივს მოჰყავს.

სხვა ქვეყნების მაგალითებს თავი დავანებოთ და თვალი გადავკრათ ჩვენს საქართველოს ძველს დროიდგან. უთუოთ დავრწმუნდებით, რომ საქართველოსაც იგივე მოუვიდა, რაც ბერძნებს, იტალიელებს და ლიშპანიელებს. ის ხალხი, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში ფლობდა მთელს კავკასიის აქეთა მხარეს, არ დანებდა ბიზანტიის სახელმწიფოს დამჩაგვრელებს, დააგდო მრავალი ისტორიული სახსოვრები, მოწმენი იმის დიდებისა და ძლიერებისა, ექვსის საუკუნის განმავლობაში იმდენათ გაოხრდა, რომ სწორეთ ველურს ხალხს დაემზგავსა: ხალხი იმდენათ გაწყდა, რომ ერთი მილიონიც ძლივს არის, აძლევდა ხარჯს ავარიის ხანს და ახალციხის ფაშის მოჯამაგირე ლეკების წინ შიშით თრთოდა. ძველი მეფეების სატახტო ქალაქი მცხეთა ახლა საცოდავ სოფლათ გადაიქცა... მეორე სატახტო ქალაქი ტფილისი, რომელსაც თავისი კოშკებით და მარმარილოს აუზებით თავი საქებრათ მოჰქონდა, სპარსელების ერთმა შემოსევამ სულ დაანაცრა, მრავალი ქალაქები გაჰქრა იმის ნიადაგზე. უწინ რომ მთების სიმაღლეებზე ძალიან დაშენებული ალაგები იყო, ახლა ხედავთ, რომ ერთად ერთი ციხის ნანგრევის მეტი არა არის რა, რომელსაც ვიწრო ჰვრიტიმალები აქვს დატანებული მტრებზე თოფების სასროლათ. მიყრუებულს ტყეებში ჩვენ ვპოულობთ განადგურებულ სოფლების კვალებს; გაველანებული ნიადაგი ქვეყნისა, ღრმათ დახვნის შემდეგ რვა უღლიან გუთნით ერთ კოდზე ხუთ თუ მოსცა, დიდი წყალობაა და ხალხი მარტო მცენარის საზდოთი იკვებება. ეს მოხდა უგუნურათ რომ კაცი მოექცა ბუნების და თავის ქვეყნის სიმდიდრესა.

II.

რასში მდგომარეობს არა მხეცური, არა მედ წესიერი და გონიერი მიწის მუშაობა მიწის მუშამ როგორ უნდა მოაგვაროს საქ მე, რომ კარგი მოსავალიც აიღოს ხოლმ მიწიდგან და მიწაც არ გაძარცვოს. გონი რი წესი მიწის მუშაობისა მდგომარეობს ამაში: მიწის მუშამ უნდა დაუბრუნოს ნია დაგს სასუქათ ყოველივე იგი, რაც მოსა ლით აუღია იმისგან. მიწის მუშა მოსესხ და მიწა მოვალე. კაცმა თავის დროზე ყოვ ლივე უნდა დაუბრუნოს მიწას, რაც იმი გან სესხათ მიუღია. მცენარეს (ხორბლ ბოსტნეულის და ფოთლიანი ხეების და სხ შედგენილობა რომ განიხილოს კაცმა, დ რწმუნდება, რომ ისინი შემდგარნი არი ისეთი ნაწილებისაგან, რაც იპოება ჰაერ და მიწაში; ჰაერს ეს ნაწილები არაოდეს აკლდება, რადგან რაც მცენარეს მიაქ თავის საკვებათ იქიდგან, იმასვე ცხოველ უბრუნებს უკან ამოსუნთქვით.

ამისგამო ჰაერი თავის შედგენილობით იცვლება; მაშასადამე მიწის მუშამ ყოველ თავის ყურადღება უნდა მიაქციოს მიწას

თუ იქრაიმე მასალა დააკლდა მცენარის ესადგენი, მაშინვე უნდა დაუბრუნოს, ესე იგი გაასუქოს; თორემ ნიადაგ ცოტა მოსავლებს მოსცემს და ბოლოს თუ მიწა აღარ გაასუქა, ყოველივე ნათესი გახმრდება და გაფუჭდება. აი, მიწის გამდიდრებას იმ მასალებით, რაც საჭიროა მშვენიერათ მოსავლის მოყვანისათვის, ეძახიან სასუქის დაყრას, ანუ მიწის გასუქებას. საიდგან უნდა იშოვნოს, აიდგან უნდა შეიკრიბოს ამისი მასალა მიწის მუშამ. აქ ჩვენ ვილაპარაკებთ ევროპიელებმა როგორ მოაგვარეს საქმე, როცა დარწმუნდენ, რომ თუ მიწას თავის მასალები მოსავლით წამოღებული ისევ უკან არ მიუბრუნეთ, ქვეყანა გახმრდებაო. როგორც სხვა ქვეყნებში ევროპაშიაც ისე, უწინ მიწას ხნავდნენ, სანამ მოსავალი მოჰყავდათ და როცა მიწა იმდენათ გაღარიბდებოდა, რომ თესვათ აღარ ღირდა, დააგდებდენ და სხვა ალაგს გადვიდოდენ სახნავ-სათესათ. ამნაირათ იქცეოდენ ერთსა და იმავე ალაგს: ჯერ შემოდგომის თესლს მოიყვანდენ და მერე გაზაფხულისას; შემდეგ მიწას გაუშვებდენ მესამე წელიწადს საბალახოთ. ამისთანა გახშირებულმა მუშაობამ მიწა კიდევ უფრო გააღარიბა. მაშინ დაიწყეს მიწებზე საძოვარ ბალახის თესვა და გააშენეს ბევრი საქონელი, რომ იმის ნაკელით მიწა გასუქებულიყო; ამ ნაირათ პირუტყვის გაშენებასთან შეერთდა მიწის მუშაობაც და შრომამ ისევ გაამდიდრა მხნელ მთესველი; ჩვენშიაც საქონლის ნაკელით გასუქებული მიწა ანუ ნაფუზარი ერთი ოთხათ მოიყვანს კარგს მოსავალს. ამას გარდა გერმანიაში ძროხას რომ კარგათ მოუაროს ოჯახის მეპატრონემ, იმდენს რძეს გამოიღებს, რომ რვა ფუთი ერბო გაკეთდება (რვა ფუთი იქს ოცდა თუთხმეტ ლიტრა ერბოს და ხუთ გირვანქას). ლიტრა ერბო ღირს საქართველოში ორ მანეთად და ორ აბაზათ, მაშასადამე ერბო რომ ფულზე ვიანგარიშოთ, ერთი ძროხა რვა თუმანს და ოთხმანეთს ნახევარს აძლევს მეპატრონეს. ვერესჩაგინის სიტყვით კარგი შვეიცარიელი ძროხა ღირს ათ თუმნათ, ან თორმეტ თუმან ნახევრად. ამისთანა ძროხა ერთ წელიწადს მოსცემს მიწის მეპატრონეს თავის ფასს და თუ არ მოსცა, შვეიცარიელი იტყვის ამისთანა ძროხის შენახვა არ ღირსო და მაშინვე გაჰყიდის.

---

## მაბუნი მღვდლები.

ხშირათ გამიგონია სხვა და სხვა პირებისაგან, რომ გლეხნი კაცნი პირს ვერ დაიჭირვენო, ანუ ერთს პირზედ ვერ დადგებიანო; ამისათვის რომ უსწავლელები და გაუნათლებლები არიანო, მაგრამ სრულებით არა, გლეხმა კაცმა თუ თქვა რამე და პირობა შეკრა ფიცით ძნელათღა გასტეხავს, ანუ ძნელათღა უღალატებენ ერთმანეთსა; ეს თქმა შეიძლება მივაწეროთ ეხლანდელ სამღვდელოთ, რომელნიცა მოკლებულნი არიან ერთ პირობას. მაღალი სასულიერო მთავრობა ყოველთვის ცდილობს, რომ დაიხსნას სამღვდელონი გაჭირვებიდგან, მაგრამ თვით სამღვდელონი უვარს ყოფენ ესრეთის მოწყალებისაგან. ვისაც კი ეყურება, დიდი ბედნიერება არის ახლად აღმორჩევა ბლაღოჩინებისა, რადგანაც რომ ძველი ბლაღოჩინები უწესოთ იქცევიან და საქმეს არავის გაუკეთებენ, თუ ფული არ მიუტანეს. ძველი ბლაღოჩინები ემსგავსებიან იმ მდივანბეგებს რომელთაც თავიანთ სიცოცხლეში უტენიათ უტენიათ თავიანთი ჯიბე და ვერ გაუტენიათ.

საქართველოს ექსარხოსმა ევსევიმ კეთილი ნებით გამოსცა ბრძანება ახლად ბლაღოჩინების აღმორჩევაზედ. ეს საქმე რომ გაიგეს სამღვდელოთა, ცათა ფრინვას მოეკიდნენ და ეჩქარებოდნენ გამოცხადებასა, ანუ მოწერილობის დარიგებასა, აგერ მოვესწარით ამასაც, გავიგეთ, რომ მღვდლებს ბედნიერება მოსწევიათ, იხსნებიან ძველი ბლაღოჩინებისაგან. მღვდლებს, სადაც შევხვდებით ხოლმე, მიულოცავთ ესრეთსა კეთილსა დაწყობილებასა. ისინიც თავისის მხრით ხარობენ და თითქოს ფრთები გამოსხმიათ და ფრინავენო, ისრე დადიან ღიმილით შუბლგახსნილი და მხიარულის სახით, ღვდლებმა მოუმატეს ერთმანეთთან სიარული, შეკრეს პირობა, რომ უთუოთ ძველი ბლაღოჩინები აღარ უნდა იყვნენ, ამაზედ მაგრათ და მტკიცეთ არიან შეფიცებულები გაიგო ეს ძველმა ბლაღოჩინმა და იფიქრა: ეხლა რომ გამომცვალონ, ხომ ისრე დამძართება, როგორც მოხუცებულს ლომს დეკარგა ძალა და თითქმის ყველა ცხოველებისტანჯავდნენ, ვირიცკი წიხლსა სცემდა, არა თუ მღვდლები, მნათეებიც პატივს აღარა კაცემენ, რადგანაც ყველას ჯავრი სჭირთ და მუქთათ არავისთვის არა გამირიგებია რა ამ ფიქრის შემდგომ შეკრიბა სამღვდელონი თავისის მოწერილობითა რადაც საქმეზედ, ღმერთმა ხომ იცის, რომ იმას მღვდლების შეკრების და მათთან მოლაპარაკების საქმე სრულებით არა ჰქონდა, არამედ უნდოდა დაპატიჟება და ყველა მღვდლის კუჭის ამოვსება, რომ მით დაევიწყებინა თავიანთი წინა-წინდელი შეწროება და მართლათაც დაპატიჟა; შემდგომ სადილისა, ქრისტიანებო, ეს ღვინო გადაკრული მღვდლები რომ გენახათ, სიცილით მუცელი აგტკივდებოდათ: ხუთი რას ლაპარაკობს, სამი რასა, შვიდი რასა, ერთის სიტყვით სხვა და სხვა თავიდგან სხვა და სხვა აზრი გამოდიოდა, მაგრამ მაინც უმთავრესი აზრი კი იყო გამოცვლა ძველის ბლაღოჩინისა, ასე რომ თითქმის ყველა მღვდლები, არ მიმხედველნი სადილისა, დათანხმდნენ ძველის ბლაღოჩინის გამოცვლაზედ, როდესაც ერთათ შეიკრიბნენ ყველას იმედი ჰქონდა, რომ უთუოთ გამოვცვლითო, მაგრამ შემოვიდა და დაინახესრა ძველი ბლაღოჩინი, ისე ჩაუვარდათ ენა და დაინაბნენ, . . . . . . . .

. . . . . . . . ერთმა ხმა ველარ ამოიღო და ისევ თანამდებობა დარჩა ძველს ბლაღოჩინს. ერთმა თუმცა ძრიელ ბევრი ილაპარაკა, რომ არ შეიძლება ძველის ბლაღოჩინის აღმორჩევაო, მაგრამ ნაცვლად მისა, რომ დათანხმებულიყვნენ მის სიტყვას, როგორც პირობა ჰქონდათ, დაუწყეს ჩხუბი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეაი ვაგლახი, რომ ამის გამოცვლა არ შეიძლებაო, ერთი ძლიერ დაახლოვებული და საყვარელი ძველის ბლაღოჩინისა მღვდლები მიუდგა და დაუწყო ლაპარაკი, რომ ჩვენ ძველს არ ვირჩევთ შენ რა გალაპარაკებსო? ამ სიტყვაზედ ძველის ბლაღოჩინის გამოცვლის მოსურნემ ეს უთხრა: დაჯექ მანდ და მე აღგიწერ ყოველს, რასაც შენ ფიქრობ გუნებაში;

. . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . .

. . . ამ სიტყვებით გაათავეს საუბარი და დაიშალა კრება ძაბუნთა სამღვდელოთა.

ეს ამბავი მიამბო ერთმა იქ დამსწრე ნაპრიჩეტნიკელმა კაცმა და მოსწონდა იმ ერთის გულადობა და ამასთანავე ნანობდა, რომ ის ძველი ბლაღოჩინი იმას აღარ აბოგინებსო და ემდურებოდა სხვათა სამღვდელოთა, რომელთაცა პირობა შეკრეს და შემდგომ კი უღალატეს.

ა, ს—ვი.

ქ. თფილისი.

## «დროებიდგან»

### წიგნი «დროების» რედაქტორთან

რა თქმა უნდა, რომ კაცს ყოველი მისთვის საკეთილო ამბავი ძრიელ ესიამოვნება; მაგრამ ის ამბავი მით უფრო სასიამოვნოა, რამდენათაც მას არ ელოდებოდა, და თუ ამასთანავე გარე შემორტყმული გარემოებანი უფრო უსიამოვნო რამეს მოასწავებდნენ, სინემ სასიამოვნოს. სწორეთ ესეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზედ იმ ამბავმა, რომელიც დღეს გავიგეთ და ვშურობთ მალე გაუზიაროთ ყველას, ვინც კი ჩვენს ღარიბის კაცის მდგომარეობაში თუნდ პატარას მონაწილეობას მაინც იღებს. როცა მე ამ სიტყვებსა ვსწერ, არის ამ დეკემბრის ექვსი და ჩვენი ქალაქი დღესასწაულობს ათის წლის მთავარ-მმართებლობას მათის იმპერატორის უმაღლესობისას. ამ შემთხვევის გამო, ქალაქის წინამღოლს (голова) თ. თუმანოვის ამქართწარმომადგენელთთურთ მიურთმევია თხოვნა მთავარ-მართებელისათვის, რომ მან მისცეს მათ შემწეობა საგლეხო შკოლის გახსნისა, სადაც გლეხის შვილებს შეეძლოსთ წერა-კითხვის და სხვა-და სხვა ხელოვნების სწავლა. ამ შემთხვევისათვის ჩვენ ფული საკმაოთა გვაქვს შეკრებილიო და დანარჩენსაც, რაც მოუნდება, უთუოთ შევკრეფამთო. ეს თხოვნა მთავარ-მმართებელს მიუღია ძრიელ დიდის სიამოვნებით და დაჰპირებია, რომ უთუოთ აღასრულებს მათს თხოვნას და სწორე პასუხს მიიღებენ ამ ცოტას ხანშივე.

აზრი ამ საქმისა, როგორც ჩვენ გვითხრეს, პირველად ეკუთვნის თ. თუმანოვს, რომელსაც ჩაუგონებია მოქალაქეებისათვის ამისთანა საქმის სიკეთილე და ძრიელი საჭიროება. ალაგი ამ სასწავლებლისათვის უთხოვნიათ საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის გვერდით, სადაც ეხლა არა შენობა არა არის რა და მარტოკა კაკლის კუნძები ყრია.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს ამბავი ძრიელ სასიამოვნო რამ არის, უმეტესად სასიამოვნოა ის, რომ ამ სასწავლებლის გამართვის მოთავეებს თვითონვე გაუგიათ ნამდვილი მიზანი ამისთანა სასწავლებლისა. აი, რას ამბობდა ჩვენი მოამბე:

— მიჰყავსთ ხოლმე მშობლებს თავიანთი შვილები რომლისამე ხელობის სასწავლებლად; ვის დალაქთან, ვის ხარაზთან, ვის სტოლიართან, ვის მჭედელთანაო. მაგრამ თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, ზოგს ერთის ნიჭი აქვს, ზოგს მეორესი; ზოგს ათი წელიწადი რო დალაქობა ასწავლო, ვერ ისწავლის და ხარაზობაში კი ერთს წელიწადს გაიმართება. აგრეთვე სხვა ხელობაები. ამისთვის ძალიან კარგი იქნება, რომ ყმაწვილს ასწავლიდნენ იმ ხელობას, რომლის ნიჭიცა ბუნებითვე აქვს: ჩვენი შკოლა ასეთი იქმნებაო. ამასთანავე იქ წერა-კითხვაც და ანგარიშიც უნდა ვასწავლოთო და ცოტ-ცოტა რუსულიცაო.

ჩვენი აზრით, ეს სასწავლებელი ძვირფასი რამ იქნება ქალაქისთვის. რასაკვირველია, სწავლა აქ იქმნება ქართულს ენაზედ და ეს თავისმხრით გამოითხოვს საჭირო სახელმძღვანელო წიგნებს ქართულს ენაზე, რომლებიც არ ყოფნა ეხლა ძრიელ საგრძნობელია. ერთის სიტყვით, ეს ისეთი სასიამოვნო ამბავი არის, რომ მრავალი სარგებლობა მისგან ყველასთვის აშკარა არის, და ჩვენ მეტი არა გვრჩება, რომ თ. ი. თუმანოვს და მის თანაშემწეებს გადუხადოთ ჭეშმარიტი და წრფელი მადლობა და ვსთხოვოთ, რომ როგორც შეიძლება მალე მოიყვანონ აღსრულებაში თავის ყველასთვის სასიამოვნო აზრი.

ა. ხელაშვილი.

თფილისი, დეკემბრის 6.

### ყვირილიდამ თფილისამდი.

ვფიქრობ, რომ ჩვენი მკითხველისთვის უსარგებლოდ არ დარჩება ჩემი მოგზაურობის აღწერა, რადგან, იმედი მაქვს, ამ აღწერის შემდეგ, ის უფრო გაფრთხილდება რკინის გზაზედ მოგზაურობის დროს.

მე წამოველი ყვირილის სტანციიდამ ქალაქს რკინის გზით, წასრულის თვის 24-ს პირველ საათზედ. ორი საათის განმავლობაში ბეჟათუბნის სტანციაში მოვედით; მაგრამ ვაი იმ მოსვლას! ორ-სამ ადგილას ბეჟათუბნამდისინ არც კი მეგონა, თუ უსიკვდილოდ გადავრჩებოდით. ბეჟათუბნიდამ ხაშურის სტანციაზედ ცხენებით (ტროიკით) მოვედით. ხაშურიდამ მაშინა საკმაოდ ჩქარა წამოვიდა ასე, რომ საათ-ნახევარს გორში ჩამოვედით აქ დიდძალი ხალხი ჩასხდენ ვაგონებში თფილისისკენ წამსვლელები; თითქმის ნახევარი ამათგანი მთვრალები იყვნენ. ერთი ამ მთვრალთაგანი ჩვენს ვაგონში შემოვიდა და დასხდა. ეს კაცი ვაჭარი უნდა ყოფილიყო. ყველაზე ნამეტნავად ჩემი ყურადღება ამ კაცმა მიიქცია. ამან ჯერ თვითონ მოჰყვა ზარათების მღერას მაღალი ხმით; ბოლოს იმერ-

ლები დაინახა ვაგონში და იმათაც დაუწყო თხოვნა, რომ ემღერნათ. იმათაც, რასაკვირველია, შეასრულეს «ორი-რაშა»; მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ, ობერ-კონდუქტორი შემოვიდა ვაგონში და როგორც იყო დაამშვიდა მყვირალი ხალხი. მაგრამ, გავიდა თუ არა ობერ კონდუქტორი ჩვენი ვაგონიდამ, გამოიდვა თავს ამ კაცმა და დაიწყო ლაპარაკი: «სახლი დამიქირავებია, შვილო, და სიმღერასაც მიშლი? ახა, ვაგლახ ჩემს თავს! ვაი დედასა, ჰაზრში ვერ მოვედი, თორემ ამ ყოშკიდამ გადავაგდებდი მაგ ობერ—კონდუქტორია, თუ რაღაცა! სულ არ წაგვლახეს ამ.....! დაწყევლოს ღმერთმა, ალა-მაჰმად ხანი არ გვიშლიდა სიმღერას!... არაკათ თქმულია «ლორის.....ფეხზედ რომ დაისომ, თავში ავაო!» მოუბრუნდა გული და ისევე ზაიათები დაიწყო. ეუბნება იმერლებს: «იმღერეთ, შვილო, მაინცა, თორემ ისეთ დროში ვართ, რომ ქლერქში ჩავარდებით. ვაიმე, ჩემო ქართულო ყურემო, სადა ხარ? ჩვენთვის ისევ ის სჯობდა! ეს ეშმაკის მანქანაა, თუ რაღაცა, ეს ამოგვაგდებს ჩვენა» ბევრი რამ ამისთანაები ილაპარაკა ამ კაცმა, მაგრამ ყველა მისი სიტყვების აქ მოყვანა არ შეიძლება...

თერთმეტ საათზე ქალაქში მოვედით. ჩემი საქმეების მორჩომის შემდეგ, მეხუთე დღეზე ისევ უკან დავბრუნდი.

ოცდა-ათ ნოემბერს, ცხრა საათზე, რკინის გზის სტანციაში ვიყავი. თფილისიდამ ყვირილის სტანციამდის ორი ბილეთი მომყიდეს, ერთ ბილეთში მთელი გს ფეროული გამოურიცხავსთ. მეორე ბილეთი მომყიდეს სურამიდამ ზექათუბნამდისინ სამ აბაზ უზალთუნად და დამაიმედეს, რომ ეკიპაჟით წამოვიდოდი სურამიდამ ზექათუბნამდი. პირველ საათზედ ნაშუალამევს მოვედით სურამში. თურმე მათი ეკიპაჟი თათრული ფურგუნი ყოფილა, სადაც ხალხი ბარდნებიჯით არიან შეწყობილი ერთი-ერთმანეთზე. მე მოვითხოვე ტარანტასი და ფულსაც უმატებდი, იმ ბილეთში გადებულს ფულს გარდა. მაგრამ ბილეთის მყიდველმა გამომიცხადა, რომ ის ბილეთი ისევე ქალაქს ჩამეტანა და ბოლოს მოვბრუნებულვიყავი ქალაქიდამ და ახალი ბილეთები მეყიდნა. რაღა გაეწყობოდა, ვიყიდე ხელ-ახლა ტარანტასის ბილეთი. მოიტანეს ტარანტასი, რომელსაც დასაჯდომი არა ქონდა. დასაჯდომის მაგივრად შაქრის დალურსმული ყუთები დაეგდოთ. უწინდელ დროში რომ წმინდანებს აწვალებდნენ, სწორეთ ისე მოგვექცენ. ყველა მოტყუებას თავი დავანებოთ, მაგრამ რათ გადაგვახდევინეს ფული სურამიდამ ზექათუბნამდის რკინის გზისათვის, როდესაც ჩვენ ამ ალაგზე რკინის გზით არ წამოუყვანივართ? რამოდენ საწყალ კაცს მიყიდეს ასე ბილეთი?

პირველი საათიდამ წამოსული სურამიდან, გათენებამდისინ ძლივს მოვედით ზექათუბანში. სხვა პასაჟირებს ფურგუნი წაუხდათ გზაში და იმათი გულისათვის შუადღემდისინ გვაცდევინეს სტანციაში, სადაც დასაჯდომი ადგილიც არ იმოვებოდა.

ეს გახლავსთ ჩვენი ახალი რკინის გზის კომფორტი!...

შორაპნელი.

---

**ხოფ. ოფურჩხეთი, ნოემბრის 30-ს.**

ოფურჩხეთი სძევს ქუთაისიდამ 10 ვერსზე, რიონის მარჯვენა ნაპირზე, იმ ახალ შოსსეს გზაზე, რომელიც ქუთაისიდამ რაჭას მიდის. აქ ას-ორმოცდა-ათი (150) მცხოვრებელი იქნება; მომეტებული ნაწილი, რასაკვირველია, გლეხები არიან.

როგორც საზოგადოთ იმერეთის ყველა სოფლები, ეს ჩვენი სოფელიც ძლიერ ღარიბია და უმეცარი. იქნება ამ მიზეზის გამო და იქნება სხვა მიზეზებითაც, აქაურ მცხოვრებლებში პირი და თანხმობა არ არის: განსაკუთრებით აზნაურები თითქო ჯიბრს უწევენ გლეხებსაო. თუ რომელიმე გლეხის პირუტყვი ჩავიდა აზნაურის ყანაში, დარწმუნებული იყავით, რომ იმას იქიდამ იშვიათად გამოუშვებენ ცოცხალს: თუ წვრილი ოთხფეხი რამეა, უთუოთ მოკლავენ და შეჭამენ და თუ სხვილი რქიანი პირუტყვია, თოფით ან სატევრით გამოუდევნებიან და მოუკლავს ან იმას გადაარჩენენ. აი, სწორეთ ჩვენი სოფლელების მწარე ცხოვრებისა!...

სხვა სიავესთან ჩვენს სოფლებში ცოტ-ცოტა ერთი ისეთი თვისებაც ჩნდება, რომელიც რუსეთის ხალხს ღუპავს; მე გამბობ არაყის სმაზე; ისე სოფლელს ვერა ნახავთ ეხლა რომ არაყს არ ეწუობოდეს. საქმე იქამდი მივიდა, რომ ამას წინათ მომეტებულმა არაყის დალევამ ერთი სოფლელი დედ-კაცი მოკლა. ეს საძაგელი თვისება უდვინობამ გაავრცელა ჩვენში და თუ მალე არ დაგვიხსნა ბუნებამ, ცუდათ არის ჩვენი საქმე...

ამ სოფელში ზედ შოსსეს გზაზე, გაჩაღებულია დუქნები და სამიკიტნოები, რომლიდამაც მომეტებული ნაწილი აქაურ აზნაურებს ეკუთვნის. სჩანს, რომ ამ სამიკიტნოების პატრონებს კარგი შემოსავალი აქვთ, თორემ სხვა აზნაურებიც არ დაიწყებდნენ ცდას, რომ იმათაც გამართონ დუქნები...

ამ სამიკიტნოების გვერდით ერთი პატარა ქოხი დგას, რომელსაც სოფლელები შკოლას ეძახიან. მაგრამ აქ თავის დღეში კაცსაც არ უფიქრნია შკოლის გამართვა!... უკაცრავად, შკოლის გამართვა კი უფიქრნიათ, როგორც სჩანს, სახლიც აუშენებიათ შკოლისათვის, მაგრამ იმით დაკმაყოფილებულან: არც მებელით მოწყობა, არც მასწავლებლის დაქირავება, არც შაგირდების მოვნა სოფელს არ უფიქრნია!

მე მრცხვენია, უფ. რედაქტორო, რომ ამისთანა ამბებს გწერთ ამ ჩემ მეზობელ სოფელზე, მაგრამ ვიცი, მართლის თქმა იშვიათად არის მავნებელი. განა ისეთს სოფელს, რომელშიაც 150 მცხოვრები ცხოვრებს, ერთი პატარა შკოლის გამართვა არ შეუძლია? როგორ არ შეუძლია, მაგრამ სად არიან არათუ ჩვენს სოფლებში, არამედ ქალაქებში, სეირიანი მოთავე და საზოგადო საქმისათვის მზრუნველი კაცები! ყველა თავის საკუთარი სარგებლობისათვის ცდილობს, ყველა წუნარხა და შეუშფოთებელ ცხოვრებას ეძებს!..,

ი. დოლონაძე.

---

## საექიმო ნაწილი

**მალარია (ხაშმი).**

მალარია ძალიან ბევრგან არის ქვეყანაზე.

აფრიკის დასავლეთის მხარე გვინეს ზღვის ყურემდის საშინელი ციებიანია. ეს ნაპირები არის შეფენილი ჭენჭყოებით, ჭაობებით და აქ ისეთი ციება იცის, რომ ევროპელი მოგზაური ძნელათ გადაურჩება. ამერიკის სამხრეთის ზღვის ნაპირებზე იქ, სადაც განსაკუთრებით ცხელი ჰაერია და ჭაობები მრავალია, აუტანელი ციება იცის. ევროპაში ლიშჰანიის კუნძულზე მომეტებულ ნაწილ ზღვის პირებისაზე მალარია მოფენილია. მაგრამ იტალიისთანა ციებ-ცხელებიანი ქვეყანა არ არის. აქ ძნელათ ნახავს კაცი ისეთ ალაგს, რომ ციება არ ბუდობდეს. მთელი რუსეთის მხარე ძალიან ციებიანია. კავკასია სომხეთი ასურეთი და მესოპოტამია მაინც მეტათ ციებ-ცხელებიანია.

*
* *

გადამდები და გადაცვლილი ციების შესანიშნავი თვისება ის არის, რომ სულ სხვა და სხვა ნიშნებით გამოაჩნდება კაცს. ზოგჯერ სადაც ციებ-ცხელება ბუდობს რამდენიმე წელიწადი გავა, რომ ეს ავათმყოფობა თითქოს დაიკარგა და ხაშმი გაჰქრა ჰაერშიო, მაგრამ მეორეთ ისევ უცფათ გამოჩნდება, ზოგჯერ ციებ-ცხელება ხდება სხვა უფრო საშიში და გადამდები ავათმყოფობის წინამორბედათ. მალარია ანუ ხაშმი იმდენათ არის მთელს ქვეყანაზე მოფენილი, რომ ჩვენ ვერ ვიტყვით ამა და ამ ტომის ხალხს უფრო ედება და ამა და ამ ტომისას უფრო არაო. ციება ყოველ ტომის ხალხს თანასწორათ აციებს ტანში. თუმცა განსაკუთრებით გაზაფხულზე და შემოდგომაზე იცის გამოჩენა, მაგრამ ზამთარშიაც კი აგრძნობინებს კაცს თავის თვისებას. ამბობენ, ვითომ ძალიან ჩქარი ჰაერის ცვლილებისაგან და სინამისაგან ჩნდებაო მალარია ანუ ხაშმი; მაგრამ ალაგ-ალაგ ხაშმი ყველაზე უფრო ძალიან იქ გაჩენილა, სადაც ძალიან ცხელი ჰაერი ყოფილა, მშვენიერი და უცვლელი დარები: ხომალდებზე ძვირათ გაჩნდება ხაშმი.

*
* *

მეორე მხრით ახალი ანგლია ამერიკაში სკანდინავის ნაწილი და დიდი ბრიტანია ძალიან დაუდგრომელი ჰავ ს არის, მაგრამ ციება კი ძალიან ცოტაა იქ: ამ სახით მეცნიერები ვერ მისვდენ ხაშმის მიზეზსა: ბოლოს უნდოდათ დაებრალებინათ დარებისათვის ამბობდენ ხაშმის ქარს გადააქვს ერთი ალაგიდგან მეორე ალაგსო. მაგალითათ პონტის ალაგებიდგან (შავი ზღვის ნაპირებიდგან) ქარს მიაქვს მალარია (ხაშმი) მთელს ქვეყანაზე და იქ აჩენს ციებ-ცხელებასაო. მაგრამ პონტოსდარომს შუა მრავალი ალაგები სძევს ისეთები, რომ ციება სულაც არ არის და რომ მართლა ქარს მიჰქონდეს, მაშინ ამ ადგილებშიაც უეჭველად უნდა ჩნდებოდეს ციება, რადგან პონტოდგან ამ ადგილებშიაც მოჰქრის ქარი.

მართალია თუმცა ჭაობიანს ალაგში და ნოტიო ცხელს ჰავას ბოლოობს მალარია (ხაშმი); მაგრამ რაცა ძალიან ხმელი ალაგებია და ხმელი ჰაერია, იქაც რომ ჩნდება, ეს რიღათი აიხსნება? მალარიის ხაშმის გაჩენის ახსნა რომ ჰავისა და მიწის [illegible]ებით გვინდოდეს, შემდეგი შემთხვევა ნა აინც ხომ ეწინააღმდეგება ამ გარემოებას. ერთი სახელგანთქმული ქვეყნის გარს შემომვლელი სახელათ კუკი აი რას ამბობს ერთს კუნძულზე. ერთს წელიწადს რომ დიდი სიცხეები დაეჭირა, საშინელი წვიმები მოსულიყო და დიდი აღმოსავლეთის ქარი რომ ამოვარდნილიყო, ხაშმი არ გაიჩუჩუნებდა, მეორე წელიწადს კი ამავე გვარს ამინდებში შეუწყნარებლათ მოედებოდა ქვეყანას ასაოხრებელი ციება: მესამე წელიწადს ნახავდი რომ მშვენიერი ჰავა დადგებოდა: არც ქარი, არც მომეტებული სიცხე და წვიმა არ იქნებოდა: გეგონებოდა: აი წელს ავათმყოფობა არა უნდა იყოსრა; მაგრამ წარმოიდგინე: ამ წელს უფრო გახშირებული იქნებოდა ციებ-ცხელება. ამისთვის ამ ქვეყანაში ამბობს კუკი არავის შეუძლიან თქვას, თუ რა მიზეზისაგან უნდა ჩნდებოდეს ხაშმი, რომელიც ჰბადებს ციებას: მაშ რაში უნდა გქებოთ ხაშმისნამდვილი მიზეზი?

ერთს რუსულს საექიმო ჟურნალში დაწერილი მეცნიერის სალისბერის პოვნა: უფ. სალისბერმა ციებით ავათმყოფისა ნახველი გასინჯა მიკროსოპში ანუ გამადიდებელს შუშაში და შენიშნა

გ

რომ შიგ წვრილმანი გუბის ბეწვნარი ჟო. მცენარეები მართლაც ციებიანები იყვნენ იმ გუბის მახლობლათ, სადაც მრავალი ამისთანა მცენარეები იზდებოდენ. სალისბერმა გუბიდგან მოიტანა ერთი ძირი გუბის მცენარისა თავის სახლში და ბაღში დაადგო. მეორე დღეს ვინც კი იმის სახლში იყო თითქმის ყველას გააცია, შემდეგ ეს მცენარე აიტანა მეორე ეტაჟის ბალკონზე: ვინც ქვემოთ ეტაჟში იდგა, ისინი კარგათ იყვნენ და ახლა მეორე ეტაჟის მცხოვრებლებს შეექნათ ციება. ამ სახით შენიშნულია რომ ციება გუბის ან ჭაობის ბეწვნარი მცენარისაგან არის გაჩენილი. ამ ბეწვნარა მცენარეს ჩვენში უწოდებენ ბაყაყის ბუდეს. ახლა მხოლოდ ის დაგვრჩა გამოსაკვლევი, თუ რა ნაირათ ჩნდება ციება იმ ალაგებში სადაც ჭაობები ან გუბეები არ არის და ჰაერიც ძრიელ ხმელია. ამისი პასუხი ჯერ კიდევ ზედმიწევნით ვერ უთქვამთ; მაგრამ ნამდვილი ის არის, რომ არც ჰავას, არც მიწის აგებულების არ მიეწერება ეს ავათმყოფობა, ჩნდება მოწამლით. ესე იგი ბეწვნარა მცენარის თესლი როცა ჩავა კაცის ან ცხოველის აგებულებაში ჩასუნთქვით. მაშინ ციებაც ჩნდება. ამ შემთხვევაში ზოგიერთი კაცის აგებულებაზე ეს სენი ძლიერათ მოქმედებს და ზოგის. რომ სუსტათაც. ამის გამო ბევრს სრულებითაც არ აჩნდება, გუბეებიან და ჭენჭყოიან ალაგებში, რომ კიდეც ცხოვრობდეს.

---

# სამართალი

როდესაც გაისტუმრებენ დამნაშავეებს სიმბირში, მათ გაჰყვება გზაში საკმაო ყარაული, რომ დამნაშავები გზიდან არ გაიქცნენ, ამისათვის იმათ, რომელნიც არ არიან თავის უფალნი გალახვისაგან, შეუყრიან ბორკილებს ფეხებში, ანუ ხელებს შეუკრავენ რკინით ანუ ბაწრით. როდესაც მიიყვანენ ამ გვარს ტუსაღებს სადმე სატუსაღოში, ან დასასვენებლად ან დასაცდელათ, მაშინ ამათ შეხსნიან ბორკილებს, და როდესაც ისევ გზაზე დააყენებენ, ისევ შეუყრიან, ვინც რომ აგზავნილნი არიან კაცის კვლისათვის, ან

გ

სხვა რაიმე მძიმე დანაშაულობისათვის ან გზაზე სხვა რაიმე დანაშაულობა მოახდინეს, ამას არასდროს არ შეეხსნებათ ბორკილები.

ყველა დამნაშავეებს, რომელნიც გაგზავნილნი არიან სიმბირში, მიიყვანენ გუბერნსკის ქალაქში ტობოლსკში, რომელიც არის სიმბირში. ეს ქალაქია თფილისიდან 3629 ვერსტზე, ამ ქალაქში არის საკუთარი სასამართლო სიმბირში გაგზავნილებისათვის. ამ სასამართლოში მიიღებენ ყველა დამნაშავეებს და მერე აქედგან გაუწესებენ სად უნდა დაინიშნოს.

როდესაც ამ სასამართლოში ყველა გაგზავნილები კატორღაში შეიყრიან თავს, მაშინ მართებლობა გაჰყოფს მათ, თუ ვინ სად უნდა გაიგზავნოს, ან რა დანიშნულება უნდა მიეცეს თვითეულს.

რომელიც კატორღაში არიან გაგზავნილები, იმათ გაჰყოფენ სამს ხარისხათ:

1. პირველი ხარისხის კატორჟნიკები, რომელთაც უნდა იმუშაონ სამადნოში. 2. მეორე ხარისხის, რომელთაც უნდა იმუშაონ ციხეებში და 3. მესამე ხარისხის, რომელთაც უნდა იმუშაონ ზაოდებში.

პირველი ხარისხის კატორჟნიკები გაიგზავნებიან ნერჩინსკის მთებში სამუშაოდ, მეორე ხარისხის გაიგზავნებიან ციხეებში, მესამე ხარისხის საპონის და ოტკის სახდელად ზაოდებში ტობოლსკის სასამართლომ წინ-და-წინ იცის სად რამოდენა მუშაა საჭირო და ან საჭიროების-დაგვარად იმდენ კაცს გზავნის. კავკაზიიდან გაგზავნილნი დამნაშავენი უმეტესად გაიგზავნებიან ირკუტსკის ღუბერნიაში, რომელიც თფილისიდგან ტობოლსკით 6573 ვერსტზეა, რომელნიც გაგზავნილნი არიან დასასახლებლად, ამათ ტობოლსკის სასამართლო გაჰყოფს ხუთ ნაწილათ:

1. პირველში არია დიდი დამნაშავენი, რომელნიც გარდა სიბირში გაგზავნისა, მათრახით გალახულნი იყვნენ. ესენი გაიგზავნებიან დროებით ზაოდებში სამუშაოდ.

2. მეორე ნაწილში შევლენ ისინი, რომელთაც ხელობა რაიმე იციან.

3. მესამე ნაწილში არიან, სუსტნი, რომელთაც მუშაობა არ შეუძლიან ამათ ამწესებენ მოსამსახურებად.

4. მეოთხე ნაწილში შევლენ კარგის მიწის მუშები, ამათ დასახლებულებს ეძახიან.

5, მეხუთე ნაწილში შევლენ ისინი რომელნიც ძალიან სუსტები არიან, ან მოხუცებულები, ან მახინჯები.

როდესაც ამგვარათ გაჰყოფენ ტობოლსკის სასამართლოს ის შეადგენს სიას ტუსაღებისას და იმას ვინ სად დაინიშნა. შემდეგ შედგება ტუსაღებისა პარტია. ამ ტუსაღების პარტიას ანუ ტუსაღებს, რომელნიც ერთად მიდიან, მართებლობა დაუნიშნავს ერთს სტაროსტას, რომელიც იმ ტუსაღებიდგანი უნდა იყოს ამ სტაროსტად, უნდა უყუროს, რომ პარტიაში უწესოება არაფერი მოხდეს. შემდეგ ამისა ტობოლცკის სასამართლო მისცემს ამ ტუსაღებს ტანისამოსს. გზის ხარჯის ფულს დაუნიშნავენ ყარაულებს და გაუშვებენ. სადაც ადგილში მივლენ ეს ტუსაღები, დასტოვებენ იმ ტუსაღებს, რომელნიც იმა ადგილში არიან დანიშნულნი.

ის დამნაშავენი, რომელნიც იგზავნებიან სიმბირში საცხოვრებლად თუ არა ფერი შეძლება არა აქვთ გაიგზავნებიან იმ წესით, როგორც ზევით ვთქვით, თუ ამგვარი გაგზავნილები არიან კეთილ შობილთაგანი, ანუ აფიცერთაგანი, მაშინ ესენი ცალკე გაიგზავნებიან; თუ თვისი ტანისამოსი არა აქვსთ, მათ მიეცემათ ტანისამოსი, მაგრამ ზურგზე არაფერს არ დააფარებენ, ამათ ბორკილებს არ შეუყრიან მიეცემათ გზის ხარჯათ დღეში თუთხმეტი კოპეიკი.

იმ პირებს, რომელთაც დანიშნული აქვთ სიმბირში ცხოვრება და რომელნიც იქ დატუსაღებულები არ უნდა იყვნენ, მათ შეუძლიათ წასვლა დანიშნულ ადგილზე მონასტრის ნება რთვით თავის ქკიპაჟით, მაგრამ თან უნდა გაყვნენ ერთი, ან ორი ჟანდარმი, და ან სხვა კეთილ საიმედო პირები. გზის ხარჯი დამნაშავესი არის, როდესაც მიმყოლი პირები დაბრუნდებიან უკან, დამნაშავებმა უნდა მისცეს მათ კეთილი გზის ხარჯი.

როდესაც მიიყვანენ დამნაშავებს დანიშნულ ადგილზე, გაჰყოფენ მათ ორ რიგათ, პირველ რიგში ჩაირიცხებიან ისინი, რომელთაც აქვსთ განწესებულნი საუკუნოთ მუშაობა, ან თუთხმეტიდან ოც წლამდის. მეორე რიგში ჩაირიცხებიან ისინი, რომელთაც აქვსთ განწესებულნი მუშაობა ექვსიდან რვა წლამდის ან ოთხიდან ექვსამდის, მუშაობის დაწყებისთანავე ამათ დაერქმევათ გამოსაცდელები და იქნებიან დამწყვრეულნი საპყრობილეში, გარდა იმ დროსა, როდესაც სამუშაოთ აიყვანენ. რომელთაც საუკუნო მუშაობა აქვსთ განწესებ ულნი, ისინი სხვდან საბორკილეში და აქვს ხელებში და ფეხებში ბორკილები. სხვებს კი მარტო ფეხებში. პირველი რიგის დამნაშავებს რაც შეიძლება უმძიმეს სამუშაოში ამუშავებენ.

მუშაობის დროს გაიყვანენ ამ საპყრობილიდგან ბორკილებით, და დაუნიშნავენ მუშაობას და ეს დანიშნული მუშაობა უნდა უეჭველად შეასრულოს. როცა მუშაობას მორჩება ისევ შეაგდებენ საბორკილეში, რაც რომ იმ მუშაობისათვის ქირა არის განწესებული მეის ისევე შენახვაზე. ჩვენ ზევით მოვიხსენეთ, რომ დამნაშავენი მიყვანისათანავე სამუშაოში დაინიშნებიან გამოსაცდელათ. ვინც რომ საუკუნოთ არიან გაგზავნილები, ისინი იქმნებიან გამოცდაში რვა წელიწადს, სხვები ოთხიდან ერთ წლამდის.

ვინც რომ ამ ვადის გასვლამდის კარგათ დაიჭერს თავის თავს და იმედია, რომ აღარაფერს ბოროტებას არ იზამს, ამათ ბორკილებს აღარ შეუყრიან და ცალკეც დააყენებენ. რასაკვირველია, რომ მხედველობაში ქვეშ იქნებიან, რომ არ გაიქცნენ; გარდა ამისა ხანდისხან მუშაობიდგანაც თავისუფალს ჰყოფენ.

კატორღაში მუშაობისაგან გაანთავისუფლებენ მარტო ორ შემთხვევაში; როდესაც დამნაშავე შეასრულებს განწესებულს ვადას და ან მოუძლურდება ისე, რომ აღარაფერი მუშაობა აღარ შეეძლება. პირველით, შემდეგ მუშაობისაგან განთავისუფლებისა, დაასახლე-

ზენ იქვე სადმე ახლო და შეიქნება ხარკის მძლეველი გლეხათ. მეორეებს კი მიიღებენ საავათმყოფოებში, სადაც სიკვდილამდის შეინახავენ.

როდესაც დამნაშავენი გაგზავნილი არიან სიმბირში, ან გზაზე და სამუშაო ადგილზე რამეს დააშავებენ კიდევ, მათ დასჯიან შემდგომად:

იმ დანაშაულობისათვის, რომლისათვისაც საზოგადო კანონით ჩამოეხდება ყოველივე ღირსება და გაიგზავნება კატორღაში სამუშაოდ, ამ გვარი დანაშაულობისათვის გაგზავნილი საუკუნოდ დაისჯება.

მათრახის დაკვრით ხუთი ათასიდან ექვსი ათასამდის და მუშაობის დროს საუკუნოდ აღარ აეხსნება ბორკილები.

ამგვარად ყოველს გაგზავნილს სიმბირში დამნაშავეს, კიდევ შემდეგის დანაშაულობისათვის მოუმატებენ პირველად დანიშნულს სასჯელს, გარდა ამისა სცემენ მათრახით.

ვინც რომ გაგზავნილი სიბირში გაიქცევა და სიბირშივე დარჩება, იმათ გარდა პირველის სასჯელის მომატებისა დაჰკრავენ, ათასობით მათრახს, ვინც რომ სიბირიდან გამოვა, მათ ბევრით უმძიმესი სასჯელი მიადგებათ.

აქ მოკლეთ არის მოყვანილი ის სასჯელები, რომელნიც განწესდება კაცზე სხვადა სხვა შეცთომისათვის. მე ვცდილობდი, რომ მკითხველს ცოტათ მაინც გაეგო, თუ რა სამძიმო სასჯელებია განწესებული კანონისაგან.

. . . . . . . . . . . . .

. . . . მე ვჰგონებ, რომ ცოტათ მაინც მიხვდა მკითხველი ზემოთ ნაწერის წაკითხვით, თუ რა საშინელი მდგომარეობა და უბედურება მოსდევს სიბირში გაგზავნას. ბორკილებით შეყრილი იქნება, დღე და ღამე სატუსაღოში იჯდება, იმოდენახანს გამოუშვებენ: როგორც პიროტყვს და თუ იქაც რაიმე დააშავე, პირველ განწესებულ სასჯელს მოგიმატებენ და ათასობით მათრახს დაჰკრავენ. აბა უსაშინელესი ამისი რაღა იქნება. ვინც, რომ კარგათ ჩაფიქრდება და ყოველ ამ მწუხარებას წარმოიდგენს, მე ვგონებ, რომ ძნელად თუ ვინმე გაბედოს რაიმე შეცთომილება.

## განცხადებანი

### ადვოკატი

**თავადი რაფიელ დავითისძე ერისთავი.**

მიიღებს ყოველდღე ყოველგვარს სადაო საქმეებს საწარმოებლათ მომრიგებელ მოსამართლეებთან და საზოგადო სასამართლოებში ქალაქს თფილისში და გარეშე ქალაქებშიაც.—აგრეთვე კისრულობს დაცვასა სიმრთლეთა ბრალდებულთა სისხლის სამართალის საქმეებში.

ვისაც ჰსურს მისი მიწვევა ქალაქს გარეშე, უნდა აცნობოს რაოდენათაც შესაძლო არს წინათვე, ამ ადრესით: ქალაქს თფილისში, ირაკლიევსკის ქუჩაში, ვასილი არტაზოვის სახლებში. (Въ Тифлисъ, на Ираклiевской улицѣ, домъ Василiя Артазова).

ფასი შრომისა—დამტკიცებულის ტაქსიით, ანუ ურთიერთ შორის შეთანხმებით.

---

**1873** წლის **1** იანვრიდამ სომხური გაზეთი «მშაკი» წელიწადში შვიდი მანეთის მაგიერათ ხუთ მანეთად ეღირება. ნახევარი წლის ფასი სამი მანეთია.

ხელის-მოწერა მიიღება გაზეთის «მშაკის» რედაქციაში, რომელიც ყოველ-დღე გახსნილია დილის 9—11-მდი და საღამოს 5—7-მდი.

გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ Редакцiю газеты «МШАКЪ»*

ამ გაზეთში იბეჭდება განცხადებაები: სომხურს, რუსულს, ქართულს, ფრანცუზულს, ნემეცურს და სხვა ევროპიულს ენებზედ. განცხადების ფასი ათ ჩვეულებრივ ასოზე 1 კაპეიკია.

---

ე. ვ. მამაცოვისა იყვანს შაგირდათ ქალებს და მუქთად ასწავლის ქალების ფეხსაცმელის კერვასა და წერა-კითხვის. დაწვრილებითი პირობის შესატყობელად მსურველს შემდეგი ადრესით შეუძლია მიმართოს: კუკიაში, რეუტისი ქუჩაზე, ფილიპოვის სახლებში.

---

### იაფად იყიდება

მთაწმიდის ქუჩაზე **ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი**, რომელიც შეიცავს ოც კარგს ოთახს თავისი საკმაოკუხნებით და სარდაფებით, და დიდის ეზოთი. მსურველს შეუძლიან იკითხოს იქვე სახლის პატრონი **ქრისტი შიშნიევისა.**

---

ლოჭინში თ. დავით ციციშვილი, მეცნიერი მებაღე, ამით გამოუცხადებს საქართველოს მემამულეებს, რომ იმას აქვს ყოველნაირი საუკეთესო უცხო ქვეყნის ხეხილების და ხეების ნერგები, აგრეთვე ბოსტნეულის და ყვავილების თესლები და ჰყიდის ზომიერ ფასათ.

**ხეხილის და ხეების ნერგები**

| | |
|---|---|
| ერთის წლისა — — — — | 33 კაპ. |
| ორი წლისა — — — — — | 40 კაპ. |
| სამი წლისა — — — — — | 60 კაპ. |

ვისაც ჰსურს დაიბაროს ეს ნერგები და თესლები, იმათ ვსთხოვთ მიმართონ თფილისს «სასოფლო გაზეთის» და «დროების» რედაქციაში, წერეთლის (უწ. დუბილერის), სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში, ან კუკიაში ელიზავეტის ქუჩაზე, თავად გიორგი ციციშვილის საკუთარს სახლში.

*Дозволено цензурою Тифлисъ 15 Декабря 1872 г.* გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის. სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.